საიდ. N77398/03

IR 1203709

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა N133-03/15

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ს. მუჯირი (თავმჯდომარე), ი. გიქორაშვილი, ს. ებრალიძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის „სანტენ ფარმასეუტიკალ კო., ლტდ.“ (Santen Pharmaceutical Co., Ltd.) სააპელაციო საჩივარი (საიდ. N133-03/15), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 11 ივნისის „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ N1793/03 ბრძანების ბათილად ცნობა და გამოსახულებითი საერთაშორისო

სასაქონლო ნიშნისათვის (საიდ. N77398/03, IR 1203709) დაცვის მინიჭება საქართველში მე-5 კლასის საქონლის შემდეგი განცხადებული ჩამონათვალის

მიმართ: „ოფთალმოლოგიური დანიშნულების ფარმაცევტული პრეპარატები“ (Pharmaceutical preparations for ophthalmic use).

საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 11 ივნისის N1793 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი გამოსახულებითი სასაქონლო ნიშანი (IR 1203709; საერთაშორისო რეგისტრაციის და გავრცელების თარიღი 05.11.2013) დაცვას არ ექვემდებარება, ვინაიდან მსგავსია კომპანიის ,,Astellas Pharma Europe B.V.'' (Sylviusweg 62, NL-2333 BE Leiden, NL) სახელზე მე-5 კლასის მსგავსი საქონლისათვის რეგისტრირებული და საქართველოზე გავრცელებული გამოსახულებითი ნიშნებისა IR824992 (საერთაშორისო რეგისტრაციის და გავრცელების თარიღი 11.05.2004) და IR824993 (საერთაშორისო რეგისტრაციის და გავრცელების თარიღი 11.05.2004). ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშანი წარმოადგენს ორ ერთმანეთში ჩახაზულ ნახევარწრეს, რომლებიც შესრულებულია მწვანე ფერში და დახრილია მარჯვენა მხარეს, ხოლო რაც შეეხება დაპირისპირებულ ნიშნებს, ასევე წარმოადგენენ ორ ერთმანეთში ჩახაზულ მარცხნივ დახრილ ნახევარწრეებს, რომელთაგან ერთ-ერთი შესრულებულია წითელ ფერში (IR 824993), ხოლო მეორე, შავ-თეთრ ფერებში (IR 824992). დაპირისპირებულ ნიშნებში არსებული განსხვავებული ფერები, არ ანიჭებს მათ სათანადო განმასხვავებლობას და ქმნის ნიშნებს შორის აღრევისა და შესაბამისად, მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას. აღნიშნულის გამო, განცხადებულ ნიშანს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი კომპანია „სანტენ ფარმასეუტიკალ კო., ლტდ.“ (Santen Pharmaceutical Co., Ltd.) არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, განსხვავებულია დაპირისპირებული ნიშნების ფერები, ასევე განსხვავებულია გრაფიკა, კერძოდ რკალების მიმართულება. განცხადებული ნიშანი აღიქმება სამ განზომილებაში - მოცულობითად, დაპირისპირებული ნიშნები კი ბრტყლად - ერთ სიბრტყეში. ამდენად, აღრევას ადგილი არ ექნება. აპელანტის პოზიციით, მოცემულ შემთხვევაში საქმე ეხება მედიკამენტებს, რომელთა შეთავაზება მომხმარებელისათვის არ ხდება მხოლოდ გრაფიკულად განმასხვავებელი ნიშნით, არამედ ყოველთვის სიტყვიერ ნიშანთან - კონკრეტული სახელწოდებით ან მასთან ერთად. აღნიშნული დასტურდება თუნდაც იმით, რომ კომპანიას „სანტენ ფარმასეუტიკალ კო., ლტდ.“ აქვს უამრავი ნიშანი როგორც გრაფიკული, ასევე სიტყვიერი. გამოყენებისას აღნიშნული ნიშნები აუცილებლად სიტყვიერ ნიშნებთან ერთადაა დატანილი საქონელზე, შესაბამისად გამორიცხულია აღრევა. ამასთან, განმცხადებელმა შეზღუდა მე-5 კლასის საქონლის ჩამონათვალი შემდეგი სახით: „ოფთალმოლოგიური დანიშნულების ფარმაცევტული პრეპარატები“ (Pharmaceutical preparations for ophthalmic use). ამასთან, აპელანტმა წარმოადგინა დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მფლობელი კომპანიის მიერ გაცემული თანხმობის წერილი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 11 ივნისის „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ N1793/03 ბრძანების ბათილად ცნობას და გამოსახულებითი საერთაშორისო

სასაქონლო ნიშნისათვის (საიდ. N77398/03, IR 1203709) დაცვის მინიჭებას საქართველში მე-5 კლასის საქონლის შემდეგი განცხადებული ჩამონათვალის

მიმართ: „ოფთალმოლოგიური დანიშნულების ფარმაცევტული პრეპარატები“ (Pharmaceutical preparations for ophthalmic use).

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

,,სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი ,,მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა”.

კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი (საიდ. N77398/03, IR 1203709) და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები: (IR 824992); (IR 824993) წარმოადგენენ აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშნებს.

დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები მსგავსია ვიზუალურად, რადგან ორივე სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს გამოსახულებით სასაქონლო ნიშანს და არ შეიცავს სიტყვიერ აღნიშვნას. ამასთან, განცხადებული სასაქონლო ნიშანი, ისევე, როგორც დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები წარმოადგენს მწვანე, ღია მწვანე და მუქ მწვანე ფერში სტილიზებულად შესრულებულ 2 რკალის გამოსახულებას, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები წარმოადგენს ასევე წითელ და შავ-თეთრ ფერებში სტილიზებულად შესრულებულ 2 რკალის გამოსახულებას. დაპირისპირებული ნიშნების შესრულების განსხვავებული ფერები ვერ სძენს ნიშნებს საკმარის განსხვავებას.

მსგავსია ასევე, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მე-5 კლასის საქონლის ჩამონათვალი, კერძოდ განცხადებული ნიშნის დაცვა მოითხოვება მე-5 კლასის შემდეგი შეზღუდული ჩამონათვალის მიმართ: „ოფთალმოლოგიური დანიშნულების ფარმაცევტული პრეპარატები“ (Pharmaceutical preparations for ophthalmic use), ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები რეგისტრირებულია მე-5 კლასის შემდეგი საქონლის ჩამონათვალის მიმართ: „ფარმაცევტული პრეპარატები ადამიანის მოხმარებისათვის (Pharmaceutical preparations and substances for human use), რაც მოიცავს სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშნით განცხადებულ საქონლის ჩამონათვალს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობს ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, გამოსახულებითი საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის (საიდ. N77398/03, IR 1203709) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის N02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის ,,გ” ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „სანტენ ფარმასეუტიკალ კო., ლტდ.“ (Santen Pharmaceutical Co., Ltd.) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. ძალაში დარჩეს სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის

2015 წლის 11 ივნისის „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ N1793/03 ბრძანება.

3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. N17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ს. მუჯირი

წევრები: ი. გიქორაშვილი

ს. ებრალიძე